თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

აკადემიური პოზიციების დასაკავებლად

1. აკადემიური კონკურსი ცხადდება შემდეგ მიმართულებებზე:

   1.1 ელექტრო-ინჟინერია - ასისტენტ-პროფესორი;

   1.2 საერთაშორისო ურთიერთობები - ასოცირებული პროფესორი;

   1.3 პოლიტიკური მეცნიერებები - ასოცირებული პროფესორი.

2. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2.1 ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ელექტრო-ინჟინერიის მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და ასევე:

- უმაღლეს საგანამანათლებლო დაწესებულებაში აღიშნული მიმართულებით აკადემიური ან/და კვლევითი საქმიანობის გამოცდილება;
- ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ისეთ საგნებში, როგორიცაა: სიგნალების დამუშავება, ელექტრული წრედები, რიცხვითი მეთოდები (მათლაბით);
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება საზღვარგარეთ მიღებულ ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

2.2 ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **საერთაშორისო ურთიერთობების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო - პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, ასევე:

- საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით ინტენსიური პედაგოგიური საქმიანობის გამოცდილება ისეთ საგნებში, როგორიცაა: დიპლომატიის ისტორია, ევროატლანტიკური უსაფრთხოება;
- დიპლომატიის სფეროში პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება არანაკლებ 10 წლის;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები;
- ინგლისური ენის ცოდნა;
- უპირატესობა მიენიჭება საზღავრგარეთ მიღებულ ცოდნასა და სამუშაო გამოცდილებას.

2.3. ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად **პოლიტიკური მეცნიერებების** მიმართულებით პირს უნდა ჰქონდეს: დოქტორის კვალიფიკაცია ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და ასევე:

- ინტენსიური აკადემიური საქმიანობის გამოცდილება პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით;
- შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების გამოცდილება არანაკლებ 10 წლის;
- საერთაშორისო პროექტებში მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის ცოდნა.

2.4 აკადემიური თანამდებობები შეიძლება დაკავებულ იქნეს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ. ამ შემთხვევაში, პირის კვალიფიკაცია შეიძლება დასტურდებოდეს პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

3 განცხადებების მიღება იწარმოებს **2023 წლის 9 ოქტომბრიდან - 2023 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით.**

4 განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს:

4.1 ბიოგრაფია (CV);
4.2 სამოტივაციო წერილი (1 გვერდი);
4.3 შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის პროექტი;
4.4 ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
4.5 პუბლიკაციების ჩამონათვალი;
4.6 პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4.7 ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ;

5 დოკუმენტაციის მიიღება ხდება ელექტრონულად, გთხოვთ გადახვიდეთ მითითებულ ბმულზე და შეავსოთ ყველა სავალდებულო ველი -https://form.jotform.com/232495661100450

6 კონკურსი ტარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ხოლო მეორე ეტაპზე ჩატარდება გასაუბრება/საჩვენებელი ლექცია საჭიროების შემთხვევაში.

7 კონკურსის პირველი ეტაპი გაიმართება **2023 წლის 13 ოქტომბრიდან - 2023 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით**, ხოლო გასაუბრება/ საჩვენებელი ლექცია საკონკურსო კომისიასთან გაიმართება **2023 წლის 18 ოქტომბრიდან - 2023 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.**

8 შრომის ანაზღაურება და შრომის სხვა პირობები განისაზღვრება შერჩეულ პირებთან შეთანხმების საფუძველზე.

9 საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: 0159, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი # 240, კახა ბენდუქიძის კამპუსი

ვებ-გვერდი: www.freeuni.edu.ge

ელ.მისამართი: Vacancy@freeuni.edu.ge